№ 105 მაისი 23, შაბათი 1892 მაისი 23, შაბათი № 015

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892

წევრნი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა მოიწოდებიან წლიურ კრებაზედ დასასწრებლად კვირას, 24 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ. კრება იქნება საზოგადოების საპატიო და დამფუძნებელ წევრის ბარონ ა. პ. ნიკოლაის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1890 და 1891 წწ.

2) ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლისა 1890 და 1891 წწ.

3) მოხსენება ტარატინოვისა იმის შესახებ, რომ ყოველის სიმდიდრის საფუძველი ხვნა-თესვა და მიწად-მოქმედებაა.

4) მურომცევისა საცდელ სამეურნეო სადგურის გამართვის შესახებ სოფელს პატარძეულში.

5) არჩევანები საზოგადოების საბჭოს წევრთა, მდივნისა და ხაზინადარისა.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ კრებას.

(2—1)

---

31 მაისს, კვირას, დილის 11 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

(6—3)

## ახალი ამბავი

*** დღევანდელს ჩვენს ნომერში დაბეჭდილია წლიური ანგარიში სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის მოქმედებისა, რომელიც განხილულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების წევრთა კრების მიერ 14 მაისს. ანგარიში ამ კრებისა უკვე დავბეჭდეთ თავის დროზედ. მაშინ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა მხოლოდ, რომ კრებამ არჩევანების დროს სთხოვა ჩვენს პედაგოგს ბ-ნს ი. ს. გოგებაშვილს კომიტეტის ან წევრად, ან თავმჯდომარეს ამხანაგად ეყარა კენჭი, მაგრამ ბ-ნმა გოგებაშვილმა უარი გამოაცხადა: მე მაგ კომიტეტში გახლდით და დავანებე თავი კომიტეტს შემდეგის გარემოების გამო: კომიტეტმა მოინდომა შეეცვალა წესდების ზოგიერთი მუხლი. მე წინააღმდეგი ვიყავ ამ ცვლილებისა და მაშინვე განვაცხადე, რომ თუ ეგ ცვლილება შეწყნარებულ იქმნება, კომიტეტს თავს დავანებებ-მეთქი. ცვლილება შეიწყნარეს და ამის გამო დავტოვე კომიტეტიო.

*** დღეს, 23 მაისს, საღამოს 7½ საათზედ, დანიშნულია სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ, კრება მოისმენს მოხსენებას სტევანოვსკისას, სესლავინისას, ტვარიანოვიჩისას და ვეინშალისას.

*** ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა ქალაქის საბჭო გადიტანოს საშენობო განყოფილების დარბაზში, საშენობო განყოფილება—ობოლთა სასამართლოს შენობაში და ამ სასამართლოსთვის-კი სხვა სახლი დაიქირაოს.

*** ტფილისის გუბერნატორს ნება დაურთავს სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის საკუთარის სამკითხველოს დაარსებისა.

*** ამიერ-კავკასიის აქციზის მმართველი ტ. ს. მარკოვი 21 მაისს ბათუმში გაემგზავრა.

*** ტფილისში ჩამოვიდა თეირანიდგან სპარსეთის შაჰის უფროსი მკურნალი მაჰთამედ-სულთან-მირზა-ალი.

*** 20 მაისს რკინის გზის მატარებელი № 33 დაეჯახა ფოსტის ეტლსა დ ორი ცხენი გასრისა. მეეტლე სუბუქად დაშავდა.

*** ამ დღეებში ხაზინამ კიდევ 8,000 თუმანი მისცა ტფილისის გუბერნატორს კალიის გასაწყვეტად. ამ წელს გადადებულია კალიის გასაწყვეტად ტფილისის მაზრისთვის 20,742, სიღნაღის მაზრისათვის — 7,000 მან. და ბორჩალოს მაზრისათვის—1,000 მ. უკანასკნელი 8,000 მანათი ჯერ არ არის განაწილებული.

*** სამშაბათს, 26 მაისს, პუშკინის ბაღში დანიშნულია ბენეფისი ტფილელების ნაცნობის არტისტის ნ. ბიაზისა, რომელიც თავისს საბენეფისოდ ამზადებს ოპოჩინინის ახალს ოპერეტს „ავტომატს“ („Автоматъ“). ეს პიესა საოპერეტო დასს არც ერთხელ არ წარმოუდგენია, ყოველთვის სცენის მოყვარენი წარმოადგენდნენ ხოლმე.

*** „ტფილისის მეორე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დახმარებელ საზოგადოების“ კომიტეტი მადლობას უცხადებს კნეინა ელენე თარხან-მოურავისას, რადგან მან 28 ნივთი შესწირა ხსენებულს საზოგადოებას სალატარიოდ, რომელიც 24 მაისს გაიმართება მუშტაიდის ბაღში.

შეწირულება მიიღება „საზოგადოების“ თავმჯდომარეს თანაშემწე კნეინა ბარბარე გიორგის ასულ ბარათაშვილისას (რეუტის ქუჩა, საკუთარს სახლებში).

*** ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, რომ სურამში ავაზაკები დაეცნენ ჩხეიძეს სახლს, მოჰკლეს თვით ჩხეიძე, დასჭრეს ერთი ყმაწვილი და სახლი გაძარცვესო. პოლიციამ დააპატიმრა დამნაშავენი: ამაშუყელი, თოფურია, ცქიტიშვილი და ჩხეიძე. ერთი ავაზაკთაგანი-კი, ირაკლი იაშვილი, პოლიციამ ვერსად იპოვნა. ეხლა გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ სურამიდგან, რომ 9 მაისს ხონის ბოქაულმა ბ-ნმა ტატიშვილმა შეიპყრო მეხუთე ავაზაკი იაშვილიც: იაშვილს უპოვნეს 2,630 მანათი და სხვა-და-სხვა ძვირფასი სამკაული. დამნაშავე გამომძიებელთან გაჰგზავნეს.

*** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა პატარა ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“, დაწერილი ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ. წიგნს ჩართული ექმნება სურათი მეფე ერეკლესი და რუკა იმ ადგილებისა, სადაც ზემოხსენებული ომი იყო გამართული. რუკა შეუდგენია ბ-ნ ვ. თულაშვილს.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 8—15 მაისს ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით—1, ხუნაგით—3, ჩუტყვავილით—1, წითელათი—2, შავის სახადით—1, სახადით—2. ამ დროს განმავლობაში გადამდებ ავადმყოფობით ტფილისში არავინ გარდაცვლილა.

*** მქრულა: 19 მაისს, ღამის 2 საათზედ, მე-133 ვერსზე იპოვნეს მატარებლით გასრესილი კაცი. ჯიბეში ნაპოვნ ბარათიდგან აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სენაკის მაზრის, სოფ. გადშეთის მცხოვრები, თევდორე გვასამია ყოფილა.

*** გაზეთ „Каспій“-ში დაბეჭდილია, რომ ამ დღეებში კასპიის აღმოსავლეთ ნაპირზედ, კრასნოვოდსკს ახლო, წყალმა გამორიყა ბაქოს მცხოვრების ალესკეროვის გემი „ბუხარელი“. გემზედ მყოფი ხალხი არ დაშავებულაო.

*** გაზეთ „Кавказъ“ სწერენ მეშედიდგან: „5 მაისს მეშედში დაბრუნდა თურბეთ-ი-შეიჰ-ი-ჯაბადგან მკურნალი შკუდსკი. შკუდსკის მიერ მოტანილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ სანამ ის მისულა, იმ ადგილებში 150 კაცზედ მეტი გამხდარა ავად ხოლერით ამათში 60 გარდაცვლილა და 45 კაცი მორჩენილა. შკუდსკის წამოსვლის დროს კიდევ ავად ყოფილა ხოლერით 55 კაცზედ მეტი. მეშედში დაბრუნების დროს სოფ. ყიარიზნაუში, რომელიც 116 ვერსზეა მეშედიდგან მოშორებული, შკუდსკის ორი ხოლერით ავადმყოფი შეხვედრია“.

*** 21 მაისს პოლიციელმი ხრამიხმა შეიპყრო გიგო შაკტულა და სიმონ აგილიოვი, რომელთაც რუეტის ქუჩაზე კნ. არღუთინსკი-დოლგორუკისაგან ორი მუთაქა მოეპარათ და მიჰქონდათ.

---

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.**

14 მაისს

შემდეგ კრების შეწყვეტისა წაკითხულ იქმნა მოხსენება მმართველობისა იმ შეღავათის შესახებ, რო-

---

# ფელეტონი

**მეფე სვიმონ I**

1557—1600

V

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 103)

სპარსეთში, რასაკვირველია, სამწუხაროდ დარჩათ ოსმალების გამარჯვება და მათ მიერ ქართლისა, კახეთისა და შირვანის დაპყრობა. სიმონიც სწუხდა, რომ ქართლი მტერმა დაიჭირა და ნატრულობდა უკანვე დაებრუნებინა თავისი სამეფო. შაჰი დაპირებული იყო, რომ გაგგზავნი ქართლს, თუ მაჰმადიანობას მიიღებო. შაჰ-ხუდაბენდეს დედაც ცდილობდა მის განთავისუფლებას, მაგრამ ყაენი თავის წინადადების ასრულებას თხოულობდა. ბოლოს სვიმონმა ვეღარ გასძლო სამშობლოს მოშორება და გარეგნობით მიიღო მუსულმანობა მაჰმუდის სახელით [21]). მაშინ შაჰ-ხუდაბენდეს დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმა, გაუგზავნა სიმონ მეფეს ლეჩაქი და შეუთვალა: „მომიხვევია ხმალისა შენისა ხეტარსა ზედა. შენ იცი და ხმალმან შენმან. მოგვიცემია შენთვის სამეფო შენი და სხვაცა მრავალი საბოძვარი, წარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არ წაგვიღონ ოსმალთა, და იყავ თანაშემწე და ერთგულ სახელმწიფოთა ჩვენთა“. ყაენმა სიმონს მისცა ცხრა ათასი თუმანი და გამოისტუმრა ქართლში. მასთან ერთად ყაენმა გამოუშვა ქართლში არჩილ მუხრანბატონიშვილი და ყველა სხვა ქართველი ტყვენი (1578 წ.).

დავითმა რომ გაიგო ეს ამბავი, თავის ნებით დაუთმო ლალა-ფაშას ყველა ციხეში და თვით წავიდა სტამბოლს ხონთქრის წინაშე. ხონთქარმა დავითი დიდის პატივით მიიღო, გაუჩინა ორი საფაშო სარჩოდ, და თავის კარზე შეინახა.

სვიმონ მეფე საქართველოში მოვიდა ღვინობისთვის ნახევარს და სომხეთში დადგა. ამ დროს ლალაფაშა იბარგებოდა თავის ჯარით ოსმალეთში დასაბრუნებლად. სვიმონ მეფემ და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმა იმამყულიხანმა დაუწყეს ოსმალებს თავს დასხმა. უსაფრთხებოდენ ტყეებსა და მთებში, თავს ესხმოდენ უცებ და ბრძოლას უტეხავდენ მოულოდნელად [22]). ლალა-ფაშა დიდად დაზარალებული შევიდა სამცხეში.

სვიმონი შეუდგა თავის სამეფოს დაპყრობას და აიღო ოსმალთ მიერ დაკავებული ციხეები გორისა, ლორისა და სხვები, ტფილისის ციხის გარდა. ვისაც რამე დანაშაული მიუძღოდა ან სიმონთან ან მის ცოლშვილთან, ზოგნი დავითს გაჰყვნენ ოსმალეთს, ზოგნი იმერეთს და კახეთს გადაიხიზნენ. მხოლოდ ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ ქსნის ერისთავი არ შეუშინდენ სვიმონს. მეფეს უნდოდა მათი ჯავრი ამოეყარა, მაგრამ მათ მფარველობდა ვახტანგ მუხრან-ბატონი და მეფეს უშლიდა შურის-ძიებას. სვიმონმა იწყინა მუხრან-ბატონის გამოსარჩლება და თითონ ის დაამწყვდევინა კეხვის ციხეში. მერე ბარძიმ ამილახვარიც შეიპყრა. ამის დამნახავი ელიზბარ ერისთავი მივიდა დედოფალთან, შესძლვნა, რაც მოეტაცა მისთვის, და შეეხვეწა პატივებას. ამილახვარსაც სხვა ღონე არ დარჩა და ხვეწნით მიმართა დედოფალს. ნესტან-დარეჯანმა შეიწყალა ისინი და სვიმონთან იშუამდგომლა. მეფემ ერისთავს ჩამოართვა ახალგორი და მეჯვდა დედოფლისა და გიორგი ბატონიშვილის სასარგებლოდ. ამილახვარს წაართვა კასპი და სვეტი-ცხოველს შესწირა. მასვე ჩამოართვა სახასოდ აზნაურები და გორის მოურავობა. ამას შემდეგ დააფიცა ერთგულებაზედ და გაისტუმრა. გაათავისუფლა აგრეთვე ვახტანგ მუხრან-ბატონიცა. მეტის-მეტად მკაცრად მოექცა მეფე მარტო კახაბერ ყორღანაშვილის ცოლ-შვილს და იმის სახლეულებს რომელნიც შეიპყრა და გადააყრევინა გელიყარის კლდეზე. ყორღანაშვილის სხვა ნათესავები გაიქც-გამოიქცენ, ზოგნი სპარსეთს, ზოგნი სამცხეს.

სვიმონ მეფე ცდილობდა ტფილისი აეღო და გაედევნა ოსმალები ქართლითგან. ციხეს გარს შემოერტყა და ისე გაუჭირა საქმე, რომ უსურსათობით მეციხოვნეები, ის იყო, უნდა დანებებიყვნენ. მაგრამ ოსმალებმა დროზედ მიაშველეს მეციხოვნეებს სურსათი [23]).

დავით რომ სტამბოლს წავიდა, მისი შვილები ბაგრატ და ხოსრო კახეთს მივიდენ ალექსანდრე მეფესთან, რომელიც ნათესავად მოხვდებოდათ დედის მხრით. ამას გარდა, ბაგ-

---

[21]) *Moundji, Jean de Dzara* და *Brosset* (იხ. *H. d. G. t. II l. I p. 368, 454, 455.*)

[22]) *Moundji, p. 458.*

[23]) *Hammer* (იხ. *Hist. de la Géorgie t. II, l. I, p. 415*).

მელიც მსესხებლებს უნდა მიეცეთ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ვინიცობაა, სოფლის მამულებს, ბანკში დაგირავებულებს, უბედურება რამ დაემართა, ცეცხლი გაუჩნდა, წყალმა წაახდინა, ან კალიამ, ან პატრონი მამულისა გარდაიცვალა და მცირე-წლოვანი შვილები დარჩა, მსესხებლებს შეღავათი მიეცეთ სავადო შემოსატანის გარდასახადში, სამის წლით გაუნაწილდეთ გარდასახდელი ორის ნახევარის წლისა, ანუ ერთი წელიწადი დაეცალოთ დროზედ შემოსატანელი გარდასახდელი, რომლისათვისაც, დაწესებულ ჯარიმის მაგიერ, 6°/₀ უნდა გადიხადონო.

მ. გ. მაჩაბელი. ეჭვი არ არის, რომ მეურნეობა დღეს გაჭირვებაშია. ამიტომაც დიდად მესიამოვნა, როდესაც წავიკითხე გაზეთებში, რომ დაზარალებულ მსესხებლებს შეღავათი უნდა მიეცეთო. ავიღე მოხსენება და თორმეტი სტრიქონი-კი შემრჩა ხელში. მართალია, დიდად საზრუნავია, რომ ბანკის დამფუძნებლებს, ბანკის პატრონებს მამული არ გაეყიდოთ, მაგრამ მმართველობას ბანკისას-კი თავისი მოხსენება სხვა ბანკების მოხსენებათაგან გადმოუწერია. არ ვიცით, აიტანს თუ არა ჩვენი ბანკი ამ ტვირთს. აქ არა სწერია-რა და მეც ამ საგნისა არა ვიცი-რა. ამიტომ კარგს ვიზამდით ეს წინადადება უკანვე დავუბრუნოთ მმართველობას, შეიმუშავოს იგი ზედამხედველ კომიტეტთან ერთად და მერმის ისე წარმოგვიდგინოს (ტაშის ცემაა).

თ. ანდრონიკაშვილი. რას ამბობენ: ვალი აიღეთ და ნუკი გადაიხდით, შეღავათი მოგეცემათო. ყმაწვილები ხომ არა ვართ, მოგვატყუონ, ვალი გეჩუქებათო. ვის ატყუებენ? რასა ბრძანებთ, არავინ დაგიჯერებთ!

გ. მირზაშვილი. დაგირავებულის მამულის პატრონი შეიძლება ქალაქშიაც გარდაიცვალოს და მცირე-წლოვანა შვილები დარჩეს... (კრება იცინის). განა ცოდვა არ არის, რომ ერთს აშენებენ და მეორე-კი უნდათ დაღუპონ, მარტო სოფლის მსესხებლებს მიეცეთ შეღავათიო. ვსთქვათ, ათას თუმნად დაგიგირავე მამული, რვაასი თუმანი გარდახდილი მაქვს, ორას-სამასი მანათი შესატანია, ვერ შევიძელ და განა მამული უნდა გამიყიდონ? ჩემის აზრით, თუ სოფლის მსესხებლებს ვაძლევთ შეღავათს, ქალაქის მსესხებლებსაც უნდა მივცეთ... (ხმაურობაა, აღარ ალაპარაკებენ).

შაჭაზაზოვი. რედაქცია არ უვარგა მმართველობის წინადადებას. უბედურებათა აღნიშვნის შემდეგ უნდა დაემატოს „და სხვა ამ გვარნი“, ხოლო სიტყვას „მცირე წლოვანიო“ მიემატოს „და არა-სრულ-წლოვანი“.

თ. გ. ანდრონიკაშვილი. ბანკი ყველასათვის თავს ვერ შეიტკივებს და ვერ იზრუნებს, მამული არ გაეყიდოსო. ბანკია ყოველთ უწინარეს ბანკია და ამიტომ თავისის ინტერესების დაცვისათვის უნდა იზრუნოს. აქ ამბობენ, რომ უზრუნველ უნდა ვყოთ მსესხებელთა მამულები გაყიდვისაგანაო. თუ ვინმე ისეთ პროექტს შეიმუშავებს, რომ წამალი იყოს ყოველ გვარის უბედურებისა, წარმოადგინოს და სიამოვნებით მოვისმენთ.

დ. ი. მუსხელიშვილი. ძნელია, ბანკმა ყველას გაუწიოს დახმარება და შეღავათი მისცეს. თუ შეღავათს უწევთ ვისმე, ეს შეღავათი საზოგადო, საერთო უნდა იყოს. რაკი ბანკს ღონე არ შესწვდება, ყველას აღმოუჩინოს ასეთი დახმარება, მაშასადამე, რჩეულთ, ზოგიერთებს უნდა დაეხმაროს. ამ გვარად-კი სამართლიანობა ყოველთვის არ იქნება დაცული. ხომ ვიცით, რომ გაჭირვებულთა შორის დახმარებას ყოველთვის ის მიიღებს ხოლმე, რომელმაც უფრო კარგად იცის თხოვნა-მუდარი. ამიტომ, ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, დროზედ შემოუტანლობის გარდასახადი, ჯარიმა ან სულ არ გადავახდევინოთ ხოლმე მსესხებლებს, ან $^{1}/_{2}$%-მდე შევუმციროთ (ტაშის ცემაა).

თ. ი. გ. მაჩაბელი. თ. მუსხელიშვილის აზრი სრულიად მოსაწონია და მხოლოდ ერთს რასმე დავსძენ: კარგი იქნება, ჯარიმა სულ აღარ გადავახდევინოთ ხოლმე იმ მსესხებლებს, რომელთაც განსაკუთრებული უბედურება რამ სწვევიათ (ტაშის ცემაა).

დ. ი. მუსხელიშვილი. ბანკი ჯარიმად არა პირ-ნათელ მსესხებლებს 12°/₀ ახდევინებს, მაგრამ ეს ხომ ურიული სარგებელია. ბანკს უნდა ეთაკილებოდეს კიდეც ასეთის სარგებლის გადახდევინება. ამბობენ, ქართველებს არ უყვართ ვალის გადახდაო, მაგრამ მე ეს აზრი ქართველთა შეურაცხებად მიმაჩნია და უარვყოფ კიდეც. ქართველები თავისს ვალს მუდამ იხდიან, მაგრამ დროზედ გარდახდა-კი ყოველთვის ვერ შეუძლიანთ.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. ბანკი ვალად აძლევს, რომ მსესხებელმა თავისი სავადო გარდასახადი ექვსის თვით ადრე შემოიტანოს, ვიდრე თითონ ბანკს დაუდგებოდეს დრო გირავნობის ფურცელთა პატრონების დაკმაყოფილებისა. გირავნობის ფურცელი ბანკის თამასუქია. ხოლო პატრონი მისი — ბანკის მევალე. ბანკი, სულ ერთია, გამოართმევს თუ არა თავისს მსესხებლებს სარგებელს, გირავნობის ფურცელთა პატრონები-კი უეჭველად უნდა დააკმაყოფილოს. დიდად ბრძნული წესია ის წესი, რომ მსესხებელმა ექვსის თვით ადრე გარდაიხადოს თავისი სავადო შესატანიო. ეს ფულის მიღებისა და გაღების ვადა რომ ერთს დროს იყოს, ან დაახლოვებული, ადვილად შესაძლებელია, სესხის გამტანმა პირობა არ შეასრულოს. მერე ბანკმა რაღა უნდა ჰქმნას? იმანაც არ შეუსრულოს პირობა ფულის პატრონებს? ბანკი ხომ გაკოტრდა, ან თუ არა-და, იძულებულ შეიქმნა ფული ივალოს. ჯარიმა იმდენად ფულის სარგებელი არ არის, რამდენადაც სასჯელია, და ეს სასჯელი უნდა არსებობდეს კიდეც! რომ აიღე, მიცემაც იცოდე; არ მიეცი ვადაზედ, პირი უმტყუნე-და, დასჯილ იქმნები! ჩვენი უბედურება აქამდის ის იყო, რომ მოვალენი სასტიკად არ გვეკიდებოდნენ კერძო მოვალე ჩვენ თავადსა და აზნაურს ფულს ავალებდა, უცდიდა, სარგებელს სარგებელზედ აკეცდა და ამით ყელამდე ვალში ჰფლავდა. როდესაც ვალი მამულის ფასის ღირსეულად იმატებდა, მავალებელი ხელს მოუსვამდა და ხელ-ცარიელს დასტოვებდა ხოლმე პატრონს. აი, ასე დარჩნენ ხელ-ცალიერები ჩვენი თავად-აზნაურები! არა, შიში უეჭველად უნდა ჰქონდეს. ეს შიში, ეს სასჯელი ჩვენი კეთილის-მყოფელია, ჩვენი მხსნელია! აქ დავასახელებ აზრს ბლიოხისას, რომელიც ამბობს, როს საკრედიტო დაწესებულებათა სასტიკ წესების წყალობით ისეთი უთაური და უზრუნველი ხალხი, როგორნიც ირლანდიელები არიან, ამ ჟამად სამაგალითოდ გაწვრთვნილს ერს შეადგენსო. აქ ამბობენ, რომ ჯარიმა 12°/₀ ბევრიაო. არა, ბევრი არ არის. მეტნაკლებობა ამ ჯარიმისა ბანკის სიხარბეზედ-კი არ არის დამოკიდებული, არამედ ამას სხვა, უფრო გონიერი საფუძველი აქვს. წარმოიდგინეთ, რომ 1 იანვრისათვის ბანკში 10,000 მან. უნდა შევიტანო და ეს ფული ჯიბეში მიდევს კიდეც. თუ ჯარიმა არ იქნება დროზედ შეუტანლობისათვის, ამ ფულს ექვსით თვით სარგებლით მივცემ, ვასარგებლებ, ამით მე ხეირი მექნება, თუმცა ბანკი-კი შიშში იქნება, შემოვა ფული, თუ არა. აი, ეს ბოროტი რომ არ ჩავიდინო, სწორედ ამისათვის არის ეგ მუქარა მოგონილი: თუ 12°/₀ ჯარიმა გადამახდევინეს, მაშინ ფულის სარგებელი აღარას მიშველის. კრედიტი, სესხი, ბატონებო, ორ-პირი მახვილია, იმის მოხმარებასაც შეჩვევა, წესიერად და გონიერად გამოყენება უნდა. წესიერს ცხოვრებას უნდა მივეჩვიენეთ. როტშილდმა სთქვა ერთხელ: მდიდარი ის-კი არ არის, ვისაც დღეში ერთი მილიონი შემოსავალი აქვს და ერთ მილიონსა და ხუთ მანეთს-კი ჰხარჯავს, არამედ ის, ვინც ხუთს მანეთს იღებს და ოთხს ჰხარჯავსო. ნემეცს წესად აქვს, როცა შემოსავალს იღებს, მაშინვე იმას გამოითვლის ხოლმე, ხარჯი რა მაქვსო, ჯერ ხარჯისათვის გადასდებს და მერე, რაც დარჩება, დავისათვს ჰხმარობს. აქ ამბობენ: მამულები ნუ გაიყიდებაო... მერე როგორა ეგა? ნეტარმა დრომ ძველის „ბანკებისამ“ — ავიღე და ვეღარ მოგეციო დიდი ხანია ჩაილულის წყალი დალია, თქვენი ჭირი წაიღო და არღა დაგვიბრუნდება (იცინიან). სურვილი კარგია, მაგრამ არა გაპოდისრა-კი მარტო კეთილის სურვილისაგან. ვინ ამბობს, კარგი იქნებოდა, რომ ბანკმა ფული გვასესხოს და უკან აღარ მოგვთხოვოს ხოლმე (იცინიან), უფრო უკეთესი ის იქნებოდა, რომ ბანკმა ყველას უხვად მოგვაყაროს ფული, ოქროთი აგვავსოს, თუნდა არა ვთხოვდეთ კიდეც, მაგრამ, ჩემდა და თქვენდა სამწუხაროდ, მაგისთანა ბანკები შეუძლებელია (ხანგრძლივი ტაშის ცემაა).

თ. ი. გ. მაჩაბელი. სიამოვნებით დავეთანხმებოდი აქ განვითარებულს თეორიას სასჯელისას. ამასაც არ ვიკმარებდი და ვიტყოდი, რომ კარგი იქნებოდა, უპირო მსესხებლები გავმათრახოთ კიდეც-მეთქი, სხვა გზა ხსნისა რომ არ იყოს. მაგრამ გზა არის და, სასჯელს, ისევ ისა სჯობია, ამ გზას მივმართოთ. ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, რომ ჯარიმა სულ არ გადავახდევინოთ უბედურებით რითიმე დაზარალებულ მსესხებლებს, ხოლო ვადის გადაცილების ექვსის თვის შემდეგ-კი მამული გავუყიდოთ. გარწმუნებთ, მამა-პაპეულ მამულის დაკარგვის შიში უფრო ძლიერია ყოველსავე ჯარიმაზედ, მით უმეტესს, თუ ეს მამული ერთად-ერთი წყაროა შემოსავლისა მისის პატრონისათვის. ამიტომ კარგს ვიზამდით, რომ სრულიად დავაბოლოვებდეთ მაგ ლაპარაკს რაღაც სასჯელისა და ჯარიმების შესახებ.

მ. გ. მაჩაბელი. მოხსენება მეტად ცუდად არის შედგენილი. მე ამ საგნის შესახებ არც ეს მინდა ვსთქვა, არც ისა, რადგან ამ ჟამად არა მესმის-რა მაგისი. ამიტომ კარგი იქნება, რომ ეგ საგანი უფრო ვრცლად იქმნას შემუშავებული.

დ. ი. მუსხელიშვილი. შეღავათი საერთო უნდა იყოს. ამიტომ ჯარიმა ყველას 6°/₀ გამოვართვათ 12°/₀ მაგიერად.

გ. გაბაშვილი სრულიად ეთანხმება დ. ი. მუსხელიშვილის აზრს.

ი. გ. ჭავჭავაძე. სამწუხაროდ, ხშირად მხვდება ხოლმე წილად, რომ საზოგადო კრების მხურვალე და წრეს-გადასულს სურვილს ფრთები შევაკვეცო... თქვენა გსურთ, ჯარიმა შევუმციროთ ყველა მსესხებლებს და იმათ-კი რომელნიც უბედურებით რითიმე არიან დაზარალებულნი, სულ აღარ გამოართვათ ძალიან კარგი, მაგრამ მერე საიდგან გვიბრძანებთ გირავნობის ფურცლების სარგებლის

---

რატი დაესიძა ალექსანდრეს. ახალი მოყვრობა, რასაკვირველია, ვერ აუძრავდა ალექსანდრეს სიყვარულს და თანაგრძნობას თავის სიძის სვიმონის მიმართ. ალექსანდრე შემთხვევას არ ჰკარგავდა, რომ სვიმონისთვის არ ემტრო თავს-დასხმით, თუ სპარსეთის შაჰთან დაბეზღებით.

1580 წ. სვიმონი დიღომში იდგა და სცდილობდა ტფილისის აღებას. ალექსანდრემ შეიტყო, რომ მისი დაც თან ჰყავდა სვიმონს; შეკრიბა ჯარი და თავს დაესხა მოულოდნელად. სვიმონმა ცოლ-შვილით მოასწრო გაქცევა. ალექსანდრემ მისი ბარგი და საჭურჭლე აიკლო. დედოფლის საცვლითგან პერანგის ამხანაგი ჩამოაგო შუბზე, გაფრიალებული გაიძღოლა თან და დადგა ჭოტორში (მარტყოფში). ამ საძაგლობის მსმენელმა სვიმონ მეფემ შეკრიბა ჯარი და შეუთვალა ალექსანდრეს: „ჰქმენ საქმე უშვერი, რამეთუ თუცა ექმნა სხვას, ჯერ იყო შენგან ძიებად შურისა; აწ განემზადე ხვალისად ბრძოლად, რამეთუ ვიძიებ შურსა“. სვიმონი მივიდა მარტყოფს და შეექნათ ბრძოლა. ალექსანდრე დამარცხებული გაიქცა და ტყვედ დარჩენ სვიმონს მრავალი კახეთის თავადები. სვიმონმა ისინი წაასხა მცხეთას და სვეტი-ცხოვლის საყდარში ამ ნაირი ფიცი დაადებინა: „ღმერთმან სამართლის მოქმედმან კახს კაცს ნულაროდეს ნუ გაუმარჯოს ქართველს კაცზედ, არც დიდთა და არც მცირეთა“. ფიცს შემდეგ მეფემ ყველას საჩუქარი მისცა და გაისტუმრა კახეთს.

ძალით რომ ვერას გახდა, ალექსანდრე მეფემ დაუწყო სვიმონ მეფეს ყაენთან ბეზღება და დაწამება ორგულობისა. ერთგულობის სათავდებოდ სპარსეთის მთავრობამ მოსთხოვა სვიმონს ასული ყაენის შვილის ჰამზა-მირზის საცოლედ. ისკანდერმუნჯის თქმით, თითონ სვიმონმა ამ წინადადებაზედ სიამოვნება გამოაცხადა, მაგრამ ქართველებმა არ მოუწონეს ეს საქმე. ამის გამო სვიმონი ასულის გაგზავნას აგვიანებდა სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით. ამ ნაირმა მისმა ყოყმანმა უფრო აუძრა ეჭვი სპარსელებს. ამ დროს გაიგეს სპარსელებმა, რომ შირვანისაკენ მიდიოდენ ყირიმის ჯარით სეფარ-გირეი და გაზი-გირეი ოსმალების მეშველად. ამ გარემოებამ სპარსეთის მთავრობას გამოაგზავნინა საქართველოსკენ მირზა-ფეჰლუვანი და სხვა დიდი ემირები 20,000 კაცით (1581 წ.). მირზა-ფეჰლუვანმა მოსთხოვა ქართველს მეფეებს მორჩილება და ასულთა გაგზავნა. ალექსანდრეც და სვიმონიც მივიდენ მასთან განჯაში. სპარსეთის ემირებმა ორივე მეფეები მოარიგეს და დააფიცეს ჯვარსა და სახარებაზედ, რომ ისინი სპარსეთის ერთგულები იქნებოდენ და რომ თავიანთ გულ-წრფელობას დაამტკიცებდენ ოსმალებთან ბრძოლით და ხარჯის გადახდით. ალექსანდრემ თავის გადაუხდელის ხარჯის გასაწმენდად მისცა 3,000 ირაყული თუმანი სპარსეთის ხაზინისთვის, 1000 მემკვიდრისთვის და ამდენივე მირზა-ფეჰლუვანისა და სხვა დიდებულებისათვის [24]). სვიმონ მეფემ ყაენის ხარჯად დაიდო ყოველ წლივ შვიდ-შვიდი ტყვე [25]), რომელთაც ყიდულობდა მთიელებში. მირზა-ფეჰლუვანმა მეფეებისაგან ასულთა მიცემის გარდა ძენიც მოითხოვა მძევლებად. მეფეებს მეტი ღონე არა ჰქონდათ და დათანხმდენ. ალექსანდრემ მისცა თავის ძე კონსტანტინე, რომელიც წინადაც ჰყავდა შაჰთამაზს, სვიმონმა — თავისი ძე ლუარსაბი. ორნივე თორმეტ-თორმეტის წლისანი იყვნენ. მორიგების დროს ალექსანდრემ სთხოვა სპარსებს, კახეთში დაებრუნებინათ მისი ძმა იესე, რომელსაც აუთქვა ხელშეუხებლობა და უვნებლობა. ამ ნაირისავე აღთქმით და დაპირებით ითხოვა სვიმონ მეფემ თავისი ძმა დავითი, რომელიც ოსმალეთითგან დაბრუნებული ალექსანდრესთან იყო. სპარსელებმა ძმები შეურიგეს ძმებს და სამშობლოში გაისტუმრეს [26]).

ძმების მოთხოვნა და ხელში ჩაგდება ალექსანდრესა და სვიმონისგან წინგანძრახული და ოსტატური მოაზრება იყო. იმათ უნდოდათ სპარსებისთვის გამოეცალათ ხელითგან ისინი, ვინც, ადვილად შესაძლო იყო, ტახტის მეძიებლებად გამხდარიყვენ მათ მტრების ხელში. ორნივე მაჰმადიანები და ძმების უმადურნი იყვენ და საფიქრებელი იყო, რომ გულით მოინდომებდენ ძმების სამეფოთა ტახტის დაჭერას. ამ სიშისაგან გასათავისუფლებლად მეფეებმა ძალიან მარტივი ღონისძიება იხმარეს: ჩაიგდეს თუ არა ხელში თავიანთი ძმები, ხმა გაავრცელეს, რომ გარდაიცვალნენო [27]).

## V

ლალაფაშის მოადგილემ ოსმალეთის მთავარ-სარდალმა სინან-ფაშამ 1581 წ. გამოგზავნა არზრუმითგან მაჰმად-ფაშის წინამძღოლობით ჯარი, რომ დაეჭირა ქართლის ციხეები და ტფილისისთვის სურსათი მიეშველებინა. მაჰმად-ფაშა შემოვიდა ქართლში დმანისის გზით. ოსმალებმა აიღეს ლორი და წამოვიდენ თრია-

---

[24]) *Moundji 459.*

[25]) ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 303.

[26]) *Moundji, p. 460.*

[27]) *Ibidem; Pepen., cmp. XXII.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდას? ასე წაჯექ-უკუჯექობის თამაშობა ხომ არ შეიძლება, ერთს საგანზედ ჰოცა და არც ხომ არ ითქმის. აკი $12^0/_0$ ჯარიმა $6^0/_0$-ზედ ჩამოგვყავს, ვასაც უბედურება რამ სწვევია, იმ შეღავათს ვაძლევთ მსესხებლებს, რაც შესაძლებელად არის დანახული თვით მინისტრის მიერვე. მინისტრის მოხსენებაში არის ნათქვამი, რომ სხვა ყოველივე გარდასახადის შემცირება ბანკისათვის შეუძლებელიაო. ვიმეორებ, კარგი სურვილი კარგია, მაგრამ ის-კი ვერაფერია, რომ ოცნებას გამოვეკიდნეთ და იმის ნატვრაში ვიყოთ, რის ასრულებაც ყოვლად შეუძლებელია.

დ. ი. მუსხელიშვილი. ი. გ. ჭავჭავაძე ყოველთვის მინისტრის სახელით გვაფრთხობს და გვაშინებს, აგრე ხომ არ შეიძლება...

აქ კვლავ კამათი ასტყდა, არა მაგდენად ღირს-შესამჩნევი, და თავმჯდომარემ კრებისამ გამოაცხადა, რომ რადგან ეს საგანი მეტად რთული საგანია და დაგვიანებულიც არის, კომისია ამოვარჩიოთ და იმას მივანდოთ, რომ ზედამხედველ კომიტეტსა და მმართველობასთან ერთად შეიმუშავოს ეს საგანი და ორის დღის შემდეგ მოახსენოს საზოგადო კრებას თავისი აზრიო. როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, ამ კომისიაში, ზედამხედველ კომიტეტსა და მმართველობას გარდა, ამორჩეულ იქმნენ: ექიმი გ. გაბაშვილი, ი. გ. მაჩაბელი, დ. ი. მუსხელიშვილი, გ. ზ. ანდრონიკაშვილი და მ. ვ. მაჩაბელი. ამითი დასრულდა 14 მაისის კრება და გადიდო 16 მაისისათვის.

## ანგარიში

1891 წლის აპრილის პირველიდგან 1892 წლის აპრილის პირველამდე გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

### ა. ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი

საანგარიშო წლის დამდეგს, ე. ი. აპრილის პირველისათვის 1891 წლისა ხსენებულ სასწავლებელში ირიცხებოდა 143 მოწაფე. მათ შორის: 68 პანსიონერი, 75 გარედამ მოსიარულე, 27 საზოგადოების სრულ ხარჯზედ, 37-ში თითო იძლეოდა 100 მან. წელიწ., 1 იძლეოდა 150 მან. და 3—200 მან., 27 მოსამზ. კლ. I განყ., 33 II განყ. 27 III განყ., 26 IV განყ., 19 პირვ. პროგიმ. კლ. და 11 მეორე პროგ. კლ. ამ 143 მოწაფეთაგან პედაგოგიურმა რჩევამ ეგზამენების დაწყებამდე დაითხოვა სასწავლებლიდგან სამი მოწაფე პირველის განყოფილებისა, რადგან დიდხანს არ დადიოდნენ სკოლაში და არც პატივსადები რამ მიზეზი წარმოუდგენიათ უსვლელობისა. ამ სახით, განყოფილებიდგან განყოფილებაში და კლასიდგან კლასში უნდა გადასულიყო 140 მოწაფე. მოსამზადებელ კლასის პირველ სამს განყოფილებაში ეგზამენები არ მომხდარა და შეგირდები გადაყვანილ იქმნენ რეპეტიციებისა და წლიურ ნიშნების ძალით. ეგზამენები მოხდა მხოლოდ მოსამზადებელ კლასის მეოთხე განყოფილებაში და ორს პროგიმნაზიულში მაისის დამლევს და 140 მოწაფეთაგან შემდეგს კლასში გადავიდა 108, ანუ $77^0/_0$. პანსიონერებისა და გარედგან მოსიარულეთა წარმატება რომ ცალ-ცალკე ვიანგარიშოთ, გამოდის შემდეგი: 68 პანსიონერთაგან გადასულა 56, ანუ $82,_3{}^0/_0$ და 72 გარედგან მოსიარულეთაგან გადასულა 52, ანუ $72,_2{}^0/_0$. მაგრამ გარედგან მოსიარულეთაც, წარსულ წლებთან შედარებით, წარმატება დაეტყოთ, შარშან, მაგალითად გადამსვლელთა $^0/_0$ გარედგან მოსიარულეთ შორის იყო $65,_4{}^0/_0$ და წრეულს-კი $72,_2{}^0/_0$. საანგარიშო წლის სექტემბერში თანახმად შარშანდელის კრების გარდაწყვეტილებისა მესამე პროგიმნაზიული კლასი გაიხსნა.

ამავე წელს 66 ყმაწვილის თაობაზედ შემოვიდა თხოვნა, რომ მიგვეღო ჩვენს სასწავლებელში. მთხოვნელთა შორის მისაღებ ეგზამენებზედ გამოცხადდა მხოლოდ 60. 52 მიღებულ იქმნა და 8-ს კი უარი ეთქვა მოუმზადებლობის გამო. I განყოფილებაში მივიღეთ 25 ყმაწვილი, II-ში 16, III-ში 8, IV-ში 1 და პირველ კლასში 2. 1881 წლის სექტემბრისათვის სამი ვაკანსია იყო გამოცხადებული საზოგადოების სრულ ხარჯზედ შემომსვლელთათვის და ხუთიც ნახევარ ხარჯზედ შემომსვლელთათვის. მივიღეთ საზოგადოების სრულ ხარჯზედ წილის ყრით ერთი გორის მაზრიდგან (ილარიონ ივანეს ძე ფავლენიშვილი), ერთი დუშეთის მაზრიდგან (იასონ გაბრიელის ძე ჩრდილელი) და ერთიც თელავის მაზრიდგან (ლევან გიორგის ძე ანდრონიკაშვილი). თუმცა ნახევარ ხარჯზედ მისაღებად მხოლოდ ხუთი ვაკანსია იყო, მაგრამ პანსიონში შემოსვლის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სასწავლებლის გამგენი იძულებულნი შეიქმნენ ყოველივე ღონისძიება მიეღოთ, მსურველთათვის უარი არ ეთქვათ და ამ სახით, თუმცა დიდის შევიწროებით, მივიღეთ ხუთის მაგივრად თექვსმეტი ნახევარ ხარჯზედ (100 მანათად წელიწადში). და სამიც სრულს საკუთარს ხარჯზედ (200 მან. წელიწადში) მაინც კიდევ რამდენსამე უარი ეთქვა პანსიონში მიღებისა, რადგან ყოვლად შეუძლებელია მეტი დაეტიოს იმ შენობაში, რომელიც ამ ჟამად სასწავლებელს უჭირავს.

საანგარიშო წელს სკოლას მოაკლდა 31 მოწაფე. მათ შორის: სხვა სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად გამოვიდა 15, დაითხოვნილ იქმნა დიდხანს სკოლაში უსვლელობის გამო 7, სიღარიბის გამო თავი დაანება სკოლას 5-მა, გარდაიცვალა 3 გარედამ მოსიარულეთა შორის და მიზეზის გამოუცხადებლად დაანება თავი 1-მა. ამ 31 მოწაფეთაგან 4 გიმნაზიაში შევიდა, 2 საქალაქო სასწავლებელში, 2 სასულიერო სასწავლებელში, 1 სახელოსნო სასწავლებელში, 1 სამეურნეო სკოლაში, 1 სამრეწლო სკოლაში, 1 საცხენოსის სასწავლებელში, 1 რკინის გზის სასწავლებელში, 1 ფელდშერების სკოლაში, 1 ჩვენს სკოლაშივე შემოვიდა ხელ-მეორედ და დანარჩენის 16-სა ცნობა არა გვაქვს.

მცირე რიცხვი გიმნაზიაში გადასულთა საანგარიშო წელს იმით აიხსნება, რომ ამ წელს მესამე კლასი გაიხსნა და მეორე კლასის მოწაფეთა შორის 8 ისევ სვენს სასწავლებელში დარჩა მესამე კლასში გადასვლის შემდეგ. მხოლოდ ერთმა მათგანმა, მეცხრემ, გიმნაზიაში შესვლა ისურვა, კარგადაც დაიჭირა ეგზამენი და მეორე გიმნაზიის მესამე კლასში მიღებულ იქმნა.

ამ ჟამად ჩვენს სასწავლებელში ირიცხება 164 მოწაფე. მათ შორის: 83 პანსიონერი: 30 საზოგადოების სრულ ხარჯზედ, 46-ში თითო იძლევა 100 მან. წელიწ. 1-ს შემოაქვს 150 მან. წელიწადში, 6-ში თითო იძლევა 200 მან. 81 გარედგან მოსიარულეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 | მოსამზ. კლ. | I | განყოფ. |
| 38 | — | — II | — |
| 33 | — | — III | — |
| 27 | — | — IV | — |
| 20 | 1 | კლასში | |
| 12 | 2 | — | |
| 8 | 3 | — | |

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

კვლავ დაიწყეს ლაპარაკი იმის თაობაზედ, რომ დაწესებულ იქმნას გარდასახადი შემოსავლის კვალობაზედ. შარშანდელ მოუსავლობის შემდეგ, ამათის თვის განმავლობაში ეს მესამეჯერ დააპირეს ხსენებულ გარდასახადის შემოღება. შარშან ზაფხულის გასულსვე ჟურნალ-გაზეთებმა გამოსთქვეს აზრი, რომ შემოსავლის კვალობაზედ გარდასახადის დაწესება უკეთესი ღონისძიებაა ბიუჯეტის საშველად, რაკი მოუსავლობა დაგვატყდა თავსა და ხარჯი ბევრი დაგვჭირდებაო. იმ დროსვე ითქვა, რომ ხარჯის შეწერის წესის განკარგება რუსეთისათვის უმთავრესი საჭირო საგანიაო, რომელსაც მთავრობა ყოველთვის დიდის ყურადღებით ეკიდებოდაო. ხარჯის გასაძლოლად შარშანდელის გაჭირვების დროს მთავრობას შეეძლო ფული სხვა გზითაც ეშოვნა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ნაკლულევანებანი რუსეთის საფინანსო სისტემისა შემდეგ უიმისოდაც უფრო ცხადი შეიქმნებოდა და ცვლილების მოხდენას უთუოდ მოითხოვდა. უმეტესს ნაწილს სახელმწიფო გარდასახადებისას, სამს მეოთხედზედ მეტს, რუსეთში სოფლის მცხოვრებნი იხდიან. ჯერ აქამდეც ხარჯს, კარგ მოსავლის დროსაც, ბევრჯელ გლეხნი სრულიად ვერ იხდიდნენ შეუძლებლობისა გამო და შემდეგისათვის ხომ უფრო საეჭვო შეიქმნება ეს წყარო სახელმწიფოს შემოსავლისა.

აი სწორედ ამ გარემოებამ აალაპარაკა მწერლობა ხსენებულის საგნის შესახებ. დადგა შემოდგომა და განიზრახეს, ხარჯი შეეწერათ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურე-მოხელეებისათვის. ამ გვარს გარდასახადს ტყუილად უწოდეს გარდასახადი შემოსავლის კვალობაზედ... სიკეთე-კი მოჰყვა ამ პროექტს. საზოგადოებამ იგრძნო საჭიროება რუსეთის საფინანსო სისტემის შეცვლისა. გაჭირვებულმა მდგომარეობამ გლეხებისამ ყველას შეაგნებინა, რომ გლეხებს უთუოდ უნდა შეუმცირდეთ გარდასახადი და შეუმსუბუქდეთ ის ტვირთი, რომელიც აქამდე უმთავრესად გლეხებს აწევთო. მწერლობა იმ აზრს დაადგა, რომ შეცვლილ იქმნას ხარჯის გაწერის წესი და დაწესდეს სახელმწიფო გარდასახადი შემოსავლის კვალობაზედ, რა გვარი შემოსავალიც უნდა ჰქონდეს კაცსაო.

ეხლა-ხან დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს ხსენებულის ხარჯის შემოღება და განსაკუთრებული კომისიაც შეუდგენია სათანადო დებულების შესამუშავებლად. ჯერ დაწვრილებით არ გამოცხადებულა ეს პროექტი. დეპეშამ მხოლოდ ის გვაუწყა, რომ განზრახვა აქვთ გარდასახადი დააწესონ ყოველ გვარს შემოსავალზედ, რომელიც 100 თუმანს გადაემეტება. ეს გარდასახადი, როგორცა სჩანს, სწორედ ის გარდასახადი იქნება, რომელსაც შემოსავლის კვალობის გარდასახადი ეწოდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების წლიურ კრების ანგარიშში, რომელიც დაბეჭდილი იყო თქვენის პატივცემულის გაზეთის 102 ნომერში, შეცდომით არის გადმოცემული

---

ლეთზე გორისკენ. თრიალეთითგან მაჰმად-ფაშამ მასთან მყოფი ყვარყვარე ათაბაგი გაგზანა იმერეთში, რომ მეფე და მთავრები მიეწვია ქართლზედ გასალაშქრებლად. ოსმალებმა აიღეს გორიც და გაუდგნენ ტფილისის გზას. სვიმონი მუხრანს ახლო დაუხვდა ოსმალებს და გაიმართა ბრძოლა. ოსმალები დამარცხდენ და გაიქცენ. უმეტესი ნაწილი ქართველებს ჩაუვარდათ ხელში, ბევრი მტკვარში დაირჩო გაქცევის დროს. მხოლოდ მცირეოდენის ჯარით მაჰმად-ფაშამ შეასწრო ტფილისის ციხეში. სვიმონი გარს შემოადგა ტფილისს და მეციხოვნეები კიდეც აპირებდენ თავი დაენებებინათ ციხისათვის, მაგრამ მაჰმად-ფაშამ გაამაგრა ისინი და გაამხნევა ალექსანდრე მეფის იმედით, რომელიც საიდუმლოდ დაჰპირებოდა შველას[28]).

ოსმალები რომ მუხრანს ახლო დამარცხდენ, იმიერ-საქართველოს მეფე-მთავარნი ქართლს შემოესივნენ მათ საშველად. ყვარყვარეს ჩაგონებით, გიორგი მეფემ მიიწვია გიორგი გურიელი და გიორგი დადიანი. ესენიც მივიდენ მასთან თავიანთ ჯარით და სამნივე შეესივნენ ზემო-ქართლს. მცხოვრებლები გაიხიზნენ და მიმალეს თავიანთი სარჩო-საბადებელი. შემოსეულებმა, რომ ვერა იპოვეს-რა მოსარბევი, მატიანის თქმით, დასწვეს გაღმა-გამოღმართი და უკანვე დაბრუნდნენ,

სვიმონ მეფე-კი ტფილისს გარს ადგა და მოსვენებას არ აძლევდა მეციხოვნებს. მისმა ცდამ ტყუილად არ ჩაიარა და 1583 წ. აიღო ტფილისის ქალაქიც და ციხეც. ამავე წელს წაართვა ოსმალებს ლორი და სამშვილდე. ამ ამბის შეტყობის შემდეგ ხონთქარმა უბრძანა ქართლზედ გალაშქრება ფერად-ფაშას, რომელიც სინან-ფაშის სიკვდილს შემდეგ მთავარ-სარდლად იქნა დანიშნული. ქართლში შემოსულმა ფაშამ აიღო ლორი, იქითგან წამოვიდა ტფილისისკენ. სვიმონიც გაემართა მის დასახვედრად. ოსმალები გაჩერდენ და დაიბანაკეს ხატის-სოფელში. ქართველებმაც ხრამს გამოღმა დაიბანაკეს მტრის სიახლოვეს. ბრძოლის წინად სვიმონმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა. თითონ მივიდა ოსმალების ბანაკში ფაშასთან და, ვითომ სვიმონის მოციქული ვარო, დაუწყო ლაპარაკი მორიგების შესახებ. ფაშამ, რომელმაც ვერ იცნო სვიმონ მეფე, კარგად მიიღო და პატივით გაისტუმრა. სვიმონმა დაათვალიერა ოსმალთა ბანაკის მდებარეობა და ავ-კარგი. იმავე ღამეს მოუარა ხატის-სოფლის გორას და თავს დაესხა ოსმალთ იმ მხრით, საიდგანაც ისინი მტერს არ ელოდენ. ქართველებმა ოსმალნი მრავლად გასწყვიტეს და ბევრნი დაატყვევეს, აიკლეს მათი ბანაკი და ნაშოვრით დაბრუნდენ ტფილისს (1584 წ.). ამ გამარჯვების შემდეგ სვიმონ მეფემ აიღო დმანისის ციხე და დაიპყრო მთელი დმანისხევი.

სვიმონის გამარჯვებას ზედ დაერთო ორის მოსაზღვრე ქვეყნების მართველებთან—ალექსანდრე მეფესთან და მანუჩარ ათაბაგთან დამეგობრება და დამოყვრება. ალექსანდრე მეფესთან შერიგების მიზეზი იყო აშოთან მუხრან-ბატონი, რომლის ასული, ქეთევან, ალექსანდრეს უფროსმა შვილმა დავითმა შეირთო. სამცხის ათაბაგმა მანუჩარმა შეირთო სვიმონის ასული ელენე 1582 წ., როდესაც ოსმალების ერთგულებაზედ ხელი აიღო და მაჰმადის რჯულიც საჯაროდ უარჰყო.

1587 წ. სპარსებმა ოსმალებს წაართვეს განჯა. მანუჩარ ათაბაგმა დაიწყო მოლაპარაკება სპარსელებთან ოსმალების წინაამდეგ, მაგრამ სამცხის თავადები, რომლებიც მანუჩარის წინაამდეგნი იყვნენ, ოსმალებს მიუდგენ და სტამბოლს გაგზანეს მოციქულებად მაწყვერელი და რამდენიმე თავადიშვილი. მურად ხონთქარმა თავადიშვილები მძევლებად დაიჭირა და გამოგზანა სამცხეში ჯარი. ოსმალებმა დაიწყეს ახალციხის ციხის შენება. მანუჩარმა ოსმალთ წინაამდეგ შემწეობა სვიმონს სთხოვა. მეფე მაშინვე წავიდა ჯარით მანუჩარის საშველად, მაგრამ მესხებმა წინაამდეგობა გაუწიეს, რომ ოსმალებს არ შეჰბმოდენ სვიმონი და მანუჩარი, რადგან მძევლების სიში ჰქონდათ. სვიმონმა მხოლოდ მანუჩარის ურჩი თემი მოაოხრა და უკანვე დაბრუნდა. სამცხის თავადიშვილებმა მანუჩარი იძულებული ჰყვეს წასულიყო სვიმონთან, რომელმაც მანუჩარი ახალ-დაბას დააყენა ცოლშვილით. მანუჩარის დედა დედის-იმედი და ქაიხოს რო ყვარყვარე ათაბაგის ძეც მალე მანუჩარის გზას გაუდგენ. 1588 წ. მარტში სვიმონი წაჰყვა მანუჩარს ჯარით და შევიდა სამცხეში. ახალციხეში მყოფმა ოსმალეთის ფაშამ მოლაპარაკება დაიწყო მანუჩართან, რომელმაც მოციქულები გაგზანა ხონთქართან. ხონთქარმა შეიწყნარა მისი თხოვნა და დაამტკიცა ათაბაგად.

ამავე წელს ოსმალებმა ხელ-მეორედ წაართვეს სპარსებს განჯა, რომლის ასაღებად გაიარეს ქართლის სამზღვარზე სვიმონის ნება-რთვით. ეს ნება-რთვა, ისკანდერ მუნჯის თქმით, ფერად-ფაშამ მიიღო სვიმონისაგან მხოლოდ მაშინ, როცა ფაშა ბევრს სიკეთეს დაჰპირდა და დიდი საჩუქარიც მისცა[29]). ამას შემდეგ შაჰ-აბაზმა გაჰგზავნა მოციქულები სტამბოლს და ითხოვა მორიგება და ზავი. ხონთქარი დათანხმდა ზავზე იმ პირობით' რომ სხვათა ქვეყანათა შორის შაჰს საქართველო ოსმალეთისათვის დაეთმო. შაჰმაც საქართველოზე ხელი აიღო და ოსმალთ დაუთმო ყველა მაზრები სპარსეთისა, რაც ოსმალთ წაართვეს იარაღით[30]).

დ. კარიჭაშვილი

(დასასრული იქნება)

[28]) *Hammer, p. 417.*

[29]) *Isken. Moundji, p.* 460.

[30]) *Hammer, p.* 419.

ის აზრი, რომელიც მე მოვახსენე კრებას თავადის გიორგი ორბელიანის ქალიდის გამო; შეცდომით არის აგრეთვე გადმოცემული ცნობა შესახებ კომისიის დანიშვნისა. მე ის კი არ მითქვამს, რომ „ყოველსა ამას ის მალაპარაკებს, რომ არა-რა ბრალი არ დამედოს და არავითარი ჩრდილი არ მომადგეს“-მეთქი, როგორც გაზეთშია დაბეჭდილი; მე ვსთქვი, რომ დიდად მადლობელი ვარ თავადის გიორგისა, რადგან მობძანდა სკოლაში იმ აზრით, რომ დარწმუნებულიყო, მართალია თუ არა ხმები, რომელიც მას გაუგონია. ყოველი პატიოსანი კაცი ასე მოიქცევა-მეთქი ყოველთვის და არ დაკმაყოფილდება ჭორებით და უსაფუძვლო ხმებით, რაიცა შესაფერი არ არის არც მისის ღირსებისა, არც იმ დაწესებულებისა, სადაც მე ვმსახურობ, და არც პირდაპირ ჩემი. რაიცა შეეხება სკოლის საქმეების წარმოების რევიზიას, ეგ თითონ სკოლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარემ, თავადმა მაღალაშვილმა, ისურვა პირველად და სთხოვა კრებას, რომ უთუოდ დაენიშნათ სარევიზიო კომისია. ახალი კომისია, კრების ზოგიერთი წევრები რომ თხოულობდნენ, რომელსაც, მათის აზრით, უნდა გამოერკვია სკოლის ტიპი, იმ დღეს არ დანიშნულა. სკოლის ტიპის გამორკვევა მინდობილი ჰქონდა წინად კომიტეტს და ახლაც კომიტეტს დაავალეს, მხოლოდ კომიტეტმა უნდა მოიწვიოს რამდენიმე სხვაც, განიხილოს ეს საგანი და თავისი მოსაზრება წარმოუდგინოს საზოგადო კრებას.

ინსპექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა ალ. ქიქინაძე.

---

# დეპეშა

20 მაისი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი იუწყება, განხილვა ებრაელთა შესახების ღონისძიებათა და კანონთა პროექტისა გადადებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესსიამდეო.

„Юридическая газета“ იუწყება, რომ განზრახული საზოგადო ცვლილება იუსტიციის ცენტრალურ დაწესებულებისა აღარ მოხდება და იმის მაგიერ მხოლოდ კერძო ცვლილებებს მოახდენენო. იუსტიციის სამინისტროში მზადდება წინადადება იმის შესახებ, რომ ჯამაგირები მოემატოთ: ოლქის სასამართლოს წევრებს, სასამართლოს გამომძიებლებს და ოლქის სასამართლოს ბრალმდებელთა ამხანაგებს.

21 მაისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა 8 თთვით აღკრძალოს ბეჭდვა „Gazeta Radomska“-სი.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტის კორესპონდენტები იუწყებიან ევროპის რუსეთის მოსავლის შესახებ, რომ ზამთრის კარგის მოსავლისა გამო 1892 წ. მაისის პირველ მესამედში, რუსეთის, სამხრეთ და დასავლეთ კუთხეს გარდა, ნიადაგი კარგად გაიჟღინთა და ანეულები გააკეთაო. ამის გამო, თუმცა აპრილში წვიმა არა ყოფილა, მაინც შუა მაისში ანეულებს უკეთესი პირი უჩანდა, ვიდრე ამას მოელოდნენ შემოდგომაზედ. შემდეგ წვიმებიც იყო და ჯეჯილებმა ტანი აიყარა. ნაადრევს ახალთესლებს შავ-მიწის მხარეს მომეტებულ ნაწილად რიგიანი პირი უჩანს და ზოგან კარგიც. მიუხედავად 1891 წლის მოუსავლობისა, ანეულები წრეულს ნაკლები არ დათესილა.

**ბერლინი.** როგორც „Taegliche Rundschau“ იუწყება, იმპერატორისა და თავად ბისმარკის შერიგების ცდა კარგად გათავდებაო. თავადი ბისმარკი მალე ისარგებლებს შემთხვევით, რომ პირად მიულოცოს იმპერატორსა. დედოფალი და დედოფალი-რეგენტშა დღეს დილით წაბრძანდნენ პოტსდამიდგან. იმპერატორმა და იმპერატრიცამ რკინის გზის სადგურამდე გააცილეს.

**ვენა.** იმპერატორის ბრძანებისამებრ, ციხე ტემეშვარი გაუქმებულ იქნება.

ვერცხლის მადნის მარიინის მღვიმეში, პრიბრამის მახლობლად, ცეცხლი გაჩნდა და მრავალი მუშა დაიღუპა.

**პარიჟი.** დღეს მოვა პარიჟში შვეციის მეფე და პარასკევს მიწვეულ იქნება ელისეის სასახლეში.

**ბერლინი.** გერმანიაში 16 სამხედრო გემი შენდება, სულ 12,500 ტონნის სიდიდისა.

**კოპენჰაგენი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და მემკვიდრე ცესარევიჩი სამეფო ფარფორის ქარხანაში ბრძანდებოდნენ და მრავალი ნივთი იყიდეს, მომეტებულად უფრო ხელოვნური ნივთები.

22 მაისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილება: შავისა და აზოვის ზღვებზედ მოტანილს ქვის ნახშირს გადახდეს ოქროთი ფუთსე 4 კაპ. და ცეცხლით დაწმენდილს ქვის ნახშირს ფუთზე 5 კაპ.

**ბერლინი.** გუშინ ვახშმად იმპერატორმა გამოაცხადა, რუმინიის მემკვიდრე პრინცმა ედინბურგის პრინცესა მარია დანიშნაო.

პრეზიდენტად კარნოს დღეს ელისეის სასახლეში შვეციის მეფე ეწვია: ხვალ მეფე ჟენევას წაბრძანდება.

აკადემიის წევრად ორი კანდიდატი იყო დასახელებული, ზოლა და ლავისსი. ხმის უმეტესობით ლავისსი არჩიეს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,85 | 7,87 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . . | 220 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 99,37 |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 101¹/ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

# განცხადებანი

## შეშა
### დიდს საწყობში

რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეული და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—1

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტ ტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—9)

КРАСКА ДЛЯ ВОЛОСЪ В. ГЕНА въ ВѢНѢ изъ ГРЕЦКИХЪ ОРѢХОВЪ.



ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.

БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНИЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.

ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р. ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССИИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—9)

## გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონზო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—6)

# მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—19)

# ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . 8 ,, —,, | 3 ,, . . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.